



აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი

სამაგისტრო პროგრამა

რუსული ენა და ლიტერატურა

ქუთაისი  
2011

**საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება:** რუსული ენა და ლიტერატურა

**უმაღლესი აკადემიური განათლების საფეხური:** მაგისტრატურა

**სწავლების ენა:** ქართული

**მისანიჭებელი აკადემიური ხარისხი:** ჰუმანიტარულ მეცნიერებათა მაგისტრი რუსულ ფილოლოგიაში

MA in Russian Philology

**პროგრამის განმახორციელებელი ფაკულტეტი:** ჰუმანიტარულ მეცნიერებათა

**პროგრამის ხელმძღვანელი:**

**ირაიდა კროტენკო** – აწსუ სლავისტიკის დეპარტამენტის პროფესორი

**პროგრამის მოცულობა:**

აკადემიური ხარისხის მისაღებად მაგისტრანტმა უნდა დააგროვოს 120 ECTS კრედიტი.

პროგრამის კურიკულუმი სასწავლო დისციპლინათა 3 კატეგორიას მოიცავს:

1. სავალდებულო კურსების მოდული – 55 კრედიტი.
2. არჩევითი კურსი - 30 კრედიტი
3. სამეცნიერო კომპონენტი: საკურსო ნაშრომი - 5 კრედიტი;  
სამაგისტრო ნაშრომი - 30 კრედიტი;

**პროგრამაზე დაშვების წინაპირობები:**

1. ბაკალავრის (ან მასთან გათანაბრებული) ხარისხი ჰუმანიტარულ მეცნიერებებში.
2. ერთიანი ეროვნული სამაგისტრო გამოცდის ჩაბარება.
3. წერიტი გამოცდის (ტესტირების) ჩაბარება რუსულ ენასა და ლიტერატურაში.

**პროგრამის მიზანი:**

სამაგისტრო პროგრამა მიზნად ისახავს მოამზადოს მაღალი კვალიფიკაციის მქონე ფილოლოგი, რომელსაც ექნება ღრმა თეორიული და პრაქტიკული ცოდნა რუსული ენისა და ლიტერატურის დარგში, გააზრებული ექნება რუსული ენის როგორც სისტემის ფუნქციონალური თავისებურებები, მისი განვითარების თანამედროვე მდგომარეობა და ტენდენციები; გარკვეული იქნება ლიტერატურის თეორიისა და კრიტიკის, უახლესი რუსული ლიტერატურის პრობლემურ საკითხებში;

სამაგისტრო პროგრამა მაგისტრანტს გამოუმუშავებს სამეცნიერო-კვლევითი მუშაობის უნარს, მოამზადებს სპეციალისტს შემდეგი კვლევისა და პრაქტიკული საქმიანობისათვის, ჩამოუყალიბებს მას საკუთარი დასკვნების საჯაროდ წარდგენის, მკაფიოდ დასაბუთების უნარს, შესაბამის ცოდნასა და უნარებზე დაყრდნობით.

**სწავლის შედეგი და კურსდამთავრებულთა კომპეტენციები**

პროგრამის დასრულებისას მაგისტრს ჩამოყალიბებული ექნება შემდეგი კომპეტენციები:

- **ცოდნა და გაცნობიერება**

სტილისტური თავისებურებათა გათვალისწინებით საფუძვლიანად ეცოდინება რუსული სალიტერატურო ენა – რუსულ ენაზე სწორად და თავისუფლად მეტყველება, კითხვა, წერა, მოსმენილის აღქმა-გაგება; გაცნობიერებული ექნება რუსული ენის ფუნქციონალური მრავალფეროვნება, მისი ფონეტიკური, გრამატიკული და სტილისტური ნორმები;

გაცნობიერებული ექნება რუსული ენის სისტემა და სტრუქტურა; გააზრებული ექნება რუსული ენის კავშირი სხვა ენებთან და მისი ტიპოლოგიური თავისებურებები, ეცოდინება მისი განვითარების თანამედროვე ეტაპის, მისი ლინგვოკულტუროლოგიის სპეციფიკა; რუსული ენათმეცნიერების თანამედროვე პრობლემები და აქტუალური საკითხები.

საფუძვლიანად ეცოდინება რუსული ლიტერატურის განვითარების ისტორია, თანამედროვე რუსული ლიტერატურის ტენდენციები; გაცნობიერებული ექნება მისი ადგილი და როლი მსოფლიო კულტურაში, ლიტერატურული პროცესების კანონზომიერები; ეცოდინება მხატვრული ნაწარმოების ლინგვისტური და ლიტერატურათმცოდნეობითი ინტერპრეტაციის თეორიები.

- **ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი**

კურსდამთავრებულს ექნება რუსულ ენაზე დარგობრივი დისკურსის წარმართვის, საკუთარი აზრის ნათლად და დეტალურად გადმოცემის უნარი;

სამეცნიერო და მეთოდური ლიტერატურის მშობლიურ და რუსულ ენაზე გამოყენების უნარი;

სპეციალური ტექსტების თარგმნის უნარი როგორც რუსული ენიდან მშობლიურ ენაზე, ისე პირიქით, ასევე ამ ტექსტების რეფერირებისა და რედაქტირების უნარი;

კურსდამთავრებული შეძლებს ინფორმაციის მოპოვებას და დამუშავებას ქართულ და რუსულ ენებზე, საკუთარი ცოდნის მობილიზებას და მოპოვებული ინფორმაციის გამოყენებას, შეეძლება კომპლექსური პრობლემების გადაწყვეტის ახალი, ორიგინალური გზების ძიება, მათ შორის კვლევის დამოუკიდებლად განხორციელება უახლისი მეთოდების მეთოდებისა და მიდგომების გამოყენება.

- **დასკვნის უნარი**

კურსდამთავრებული შეძლებს დასახული საკვლევ პრობლემის წარმოჩენას, გააზრებას, ანალიზს; განსაზღვრული გზების დასახვას მისი გადაჭრისათვის სათანადო მეთოდების გამოყენებით; გამომუშავებული ექნება პრობლემის გაანალიზების შედეგად ლოგიკური დასკვნების გაკეთების უნარი. აღნიშნული უნარის გამოვლენას იგი უპირველეს ყოვლისა შეძლებს სამაგისტრო ნაშრომის შექმნისა და დაცვის პროცესში.

- **კომუნიკაციის უნარი**

კურსდამთავრებულს ექნება ქართულ და რუსულ ენაზე კომუნიკაციის უნარი სამეტყველო სიტუაციის ფაქტორების ერთობლიობისა და სალიტერატურო ნორმების გათვალისწინებით როგორც ზეპირი, ასევე წერილობითი ფორმით; დაუფლებული იქნება საუბრის ხელოვნებას. შეძლებს კომუნიკაციის უახლესი ტექნოლოგიების გამოყენებას.

- **სწავლის უნარი**

კურსდამთავრებული შეძლებს საკუთარი სწავლის მიმართულების განსაზღვრას, საკუთარი ცოდნის გაანალიზება/შეფასება; იმის განსაზღვრას, თუ რა ცოდნა და უნარები უნდა შეიძინოს დასახული ამოცანის შესასრულებლად;

გამომუშავებული ექნება შესასწავლი საგნის ასათვისებლად საჭირო სტრატეგიული უნარები - დაგეგმვის, ეტაპებად დაყოფის, სირთულეების განსაზღვრის, ხარვეზების გაანალიზებისა და აღმოფხვრის.

შეეძლება სწავლის დამოუკიდებლად წარმართვა, ავლენს სწავლის პროცესის თავისებურებების გაცნობიერებისა და სტრატეგიულად დაგეგმის მაღალ დონეს.

• **ღირებულებები**

გაცნობიერებული ექნება საკუთარი პასუხისმგებლობა საზოგადოების წინაშე, ექნება პატიოსანი დამოკიდებულებას პროფესიული მოვალეობის მიმართ; მაგისტრანტს ექნება პატივისცემა ჰუმანიზმის, ქართული, რუსული და ზოგადად მსოფლიო კულტურის ღირებულებებისადმი, სწრაფვა ახალი ღირებულებების დამკვიდრებისადმი.

	დარგობრივი კომპეტენციები		ზოგადი კომპეტენციები			
	ცოდნა, გაცნობ.	ცოდნის პრაქტ. გამ.	დასკვნის უნარი	კომუნიკაციის უნარი	სწავლის უნარი	ღირებულე ზეგები
სამეცნიერო წერის საფუძვლები	+	+	+	+	+	+
რუსული ენა 1	+	+	+	+		+
რუსული ენა 2	+	+	+	+		+
ტექსტის ლინგვისტური და ლიტმცოდნეობითი თეორიები	+	+	+	+		+
ლინგვოკულტუროლოგია	+	+				
სემიოტიკა	+	+	+	+		+
თარგმნის პრობლემები	+	+		+		
ლიტერატურის თეორია	+	+	+	+		+
რუსული ლიტერატურული კრიტიკა	+	+	+			+
შედარებითი ლიტმცოდნეობის ზოგადი საკითხები	+	+		+		+
კულტურათმორისი კომუნიკაციის საფუძვლები	+	+	+	+		+
უახლესი რუსული ლიტერატურა	+	+	+	+		+
უცხო ენა (ინგლისური, გერმანული, ფრანგული) 1	+	+		+	+	+
უცხო ენა (ინგლისური, გერმანული, ფრანგული) 2	+	+	+	+	+	
პოლონური ენა 1	+	+		+		
პოლონური ენა 2	+	+		+		
კულტუროლოგია	+	+				+
ხელოვნების სემიოტიკის საფუძვლები	+	+		+		+
პოსტმოდერნიზმის ფილოსოფიური თეორიები	+	+				+

ინფორმაციული ტექნოლოგიები	+	+	+	+	+	+	+
რუსული და ქართული ენების ტიპოლოგიური ანალიზი	+	+	+			+	
სლავური ენების ტიპოლოგიური ანალიზი	+	+					
რუსულ-ქართული ლიტერატურული ურთიერთობები	+	+	+	+	+	+	+
საკურსო ნაშრომი	+	+	+			+	+
სამაგისტრო ნაშრომი	+	+	+			+	+

### დასაქმების სფეროები.

კურსდამთავრებული შეძლებს საქმიანობას სამთავრობო დაწესებულებებსა და არასამთავრობო სექტორში, ჰუმანიტარული სტრუქტურების დაწესებულებებში, კერძოდ, საგანმანათლებლო, კულტურის, მართვის, საგამომცემლო, დაწესებულებებში; საინფორმაციო საშუალებების, კულტურული ურთიერთობების, სოციალურ-ჰუმანიტარულ და ბიზნესის სფეროებში.

## სასწავლო გეგმა

დისციპლინის დასახელება	სააუდიტორიო მუშაობა									სათეზის განაწილება კურსებისა და სემესტრების მიხედვით				
	სულ საკონტაქტო	ლექცია	პრაქტიკული	ინდივიდუალური მუშაობა	კრედიტების რაოდენობა					I კურსი		II კურსი		
					I სემ.	II სემ.	III სემ.	IV	სულ	I სემ	II სემ	III სემ	IV სემ	
სავალდებულო კურსები														
სამეცნიერო წერის საფუძვლები	24	8	16	101	5					2				
რუსული ენა 1	60		60	65	5					5				
რუსული ენა 2	75		75	50		5					5			
ლინგვოკულტუროლოგია	36	24	12	89	5					3				
სემიოტიკა	24	12	12	101	5					2				
რუსული ლიტერატურული კრიტიკა	45	30	15	80		5					3			
ლიტერატურის თეორია	30	15	15	95		5					2			
კულტურათმშორისი კომუნიკაციის საფუძვლები	30	15	15	95			5					2		
შედარებითი ლიტმცოდნეობის ზოგადი საკითხები	30	15	15	95			5					2		

თარგმნის პრობლემები	30	15	15	95			5					2	
ტექსტის ლინგვისტური და ლიტმოდენობითი თეორიები	45	30	15	80			5					3	
<b>არჩევითი კურსები (30 კრედიტი)</b>													
<b>არჩევითი კურსები 1</b>													
1.1 უახლესი რუსული ლიტერატურა	36	24	12	89	5						3		
1.2 უცხო ენა (ინგლისური, გერმანული, ფრანგული) 1	24		24	101	5						2		
1.3 რუსული და ქართული ენების ტიპოლოგიური ანალიზი	24	12	12	101	5						2		
1.4 კულტუროლოგია	24	12	12	101	5						2		
<b>არჩევითი კურსები 2</b>													
1.1 პოლონური ენა 1	30		30	95	5							2	
1.2 უცხო ენა (ინგლისური, გერმანული, ფრანგული) 2	30		30	95	5							2	
1.3 ხელოვნების სემიოტიკის საფუძვლები	30	15	15	95	5							2	
1.4 პოსტმოდერნიზმის ფილოსოფიური თეორიები	30	15	15	95	5							2	
<b>არჩევითი კურსები 3</b>													
1.1 პოლონური ენა 2	30		30	95			5						2
1.2 სლავური ენების ტიპოლოგიური ანალიზი	30	15	15	95			5						2
1.3 რუსულ-ქართული ლიტერატურული ურთიერთობები	30	15	15	95			5						2
1.4 ინფორმაციული ტექნოლოგიები	30	15	15	95			5						2
საკურსო ნაშრომი							5						
სამაგისტრო ნაშრომი									30				
სულ:	510	180	330	1240	30	30	30	30			16- 17	14	13

არჩევითი კურსებისათვის განკუთვნილია 30 კრედიტი. I - III სემესტრებში სტუდენტებმა არჩევითი კურსების თითოეული ბლოკიდან უნდა აირჩიოს ორი საგანი ე.ი უნდა აითვისოს 10 კრედიტი.

საკურსო ნაშრომი 5 კრედიტი - 125 საათი.

სამაგისტრო ნაშრომი 30 კრედიტი - 750 საათი.

### სწავლების მეთოდები:

პროგრამა სწავლების მეთოდების მხრივ ორიენტირებულია კოორდინირებაზე : მოხდება სხვადასხვა მიმართულების, კონცეფციების ანალიზი, შეპირისპირება და შეჯერება. სწავლების პროცესის სისტემურობა, თანმიმდევრულობა ხელს შეუწყობს მაღალი კვალიფიკაციის მქონე ფილოლოგის ჩამოყალიბებას.

ლექციასა და პრაქტიკულ მეცადინეობებზე გამოყენებული იქნება ვერბალური მეთოდი, წიგნზე მუშაობისა და დემონსტრირების მეთოდი, დისკუსია-დებატები, ქმედებაზე ორიენტირებული სწავლება, ანალიზისა და სინთეზის მეთოდი. პროგრამა ითვალისწინებს ასევე სწავლებისა და სწავლის უახლესი მეთოდოლოგიის - ინფორმაციულ-ტექნიკური მეთოდების - გამოყენებას სწავლების პროცესში. პროგრამის პრიორიტეტული მიმართულებაა ლექციებსა და პრაქტიკულებზე მაგისტრანტის მაქსიმალური აქტიურობის სტიმულირება, სწავლების პროცესში მის შესაძლებლობათა გათვალისწინება და ამავდროულად ამ შესაძლებლობათა სრული რეალიზაციის ხელშეწყობა, რაც უზრუნველყოფს სწავლების მაქსიმალურად მაღალ შედეგებს.

### სტუდენტთა შეფასების სისტემა

სტუდენტთა მიღწევების შეფასება ხდება საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2007 წლის 5 იანვრის №3 და 2009 წლის 21 სექტემბრის №785 ბრძანებებით განსაზღვრული შემდეგი პუნქტების გათვალისწინებით:

1. კრედიტის მიღება შესაძლებელია მხოლოდ სტუდენტის მიერ სილაბუსით დაგეგმილი სწავლის შედეგების მიღწევის შემდეგ, რაც გამოიხატება მე-6 პუნქტის “ა” ქვეპუნქტით გათვალისწინებული ერთ-ერთი დადებითი შეფასებით.
2. დაუშვებელია სტუდენტის მიერ მიღწეული სწავლის შედეგების ერთჯერადად, მხოლოდ დასკვნითი გამოცდის საფუძველზე შეფასება. სტუდენტის გაწეული შრომის შეფასება გარკვეული შეფარდებით უნდა ითვალისწინებდეს:
  - ა) შუალედურ შეფასებას;
  - ბ) დასკვნითი გამოცდის შეფასებას.
3. სასწავლო კურსის მაქსიმალური შეფასება 100 ქულის ტოლია.
4. დასკვნითი გამოცდა არ უნდა შეფასდეს 40 ქულაზე მეტით.
5. დასკვნით გამოცდაზე გასვლის უფლება ეძლევა სტუდენტს, რომელსაც შუალედური შეფასებისა და დასკვნითი გამოცდის მაქსიმალური ქულის გათვალისწინებით უგროვდება 51 ქულა.
6. შეფასების სისტემით დასაშვებია:
  - ა) ხუთი სახის დადებითი შეფასება:
    - ა.ა) (A) ფრიადი - მაქსიმალური შეფასების 91% და მეტი;
    - ა.ბ) (B) ძალიან კარგი - მაქსიმალური შეფასების 81-90%;
    - ა.გ) (C) კარგი - მაქსიმალური შეფასების 71-80%;
    - ა.დ) (D) დამაკმაყოფილებელი - მაქსიმალური შეფასების 61-70%;
    - ა. ე) (E) საკმარისი - მაქსიმალური შეფასების 51-60%;

ბ) ორი სახის უარყოფითი შეფასება:

ბ.ა) (FX) ვერჩააზარა - მაქსიმალური შეფასების 41-50%, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტს ჩასაბარებლად მეტი მუშაობა სჭირდება და ეძლევა დამოუკიდებელი მუშაობით დამატებით გამოცდაზე ერთხელ გასვლის უფლება.

ბ.ბ) (F) ჩაიჭრა - მაქსიმალური შეფასების 40% და ნაკლები, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტის მიერ ჩატარებული სამუშაო არ არის საკმარისი და მას საგანი ახლიდან აქვს შესასწავლი.

7. მე-6 პუნქტით გათავისწინებული შეფასებების მიღება ხდება შუალედური შეფასებებისა და დასკვნითი გამოცდის შეფასების დაჯამების საფუძველზე.

8. სტუდენტს დამატებით გამოცდაზე გასვლის უფლება აქვს იმავე სემესტრში. დასკვნით და შესაბამის დამატებით გამოცდას შორის შუალედი უნდა იყოს არანაკლებ 10 დღისა.

სასწავლო კურსში სტუდენტის მიღწევების შეფასების დამატებითი კრიტერიუმები განისაზღვრება შესაბამისი სილაბუსით.

საკურსო და სამაგისტრო ნაშრომების შეფასების სისტემა გაწერილია შესაბამის ინსტრუქციებში.

**პროგრამის განხორციელებისათვის აუცილებელი ადამიანური და მატერიალური რესურსი:**

საგანმანათლებლო პროგრამის რეალიზაცია ხდება აწსუ მაღალკვალიფიციური აკადემიური პერსონალის მეშვეობით სასწავლო კურსების პროფილის შესაბამისად. საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო პროცესი უზრუნველყოფილია კეთილმოწყობილი კაბინეტებით, აუდიტორიებით, კომპიუტერული ცენტრებით; სასწავლო-მეთოდური მასალებით: შესაბამისი საბიბლიოთეკო ფონდებით (წიგნადი, ციფრული).